წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

27. „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, ცოტნე დადიანის ქუჩა N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.103.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 119 კვ.მ. საცხოვრებელი ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 30 წელზე მეტია ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 33

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

28. „ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N110-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 197 კვ.მ. საცხოვრებელი ფართის გადაცემა სამი ოჯახისთვის, რომელიც 2003-2008 წლებიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 33

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

29. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, განსაზღვრული მოძრავი ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ.: 204395537) პირდაპირი განკარგვის

ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მეორადი ატრაქციონის, კერძოდ: საქანელების, სასრიალოების და სხვა საბავშვო ინვენტარის გადაცემა საქართველოს საპატრიარქოსთვის.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 33

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

30. „ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქ.N15ა-ში მდებარე 5001 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.14.04.030.048) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 5001 კვ.მ. მიწის ნაკვეთის მონაცვლეობა ხორციელდება ვერეს ხეობის არეალში მდებარე ორ მიწის ნაკვეთში, რომლებიც ნაწილობრივ მდებარეობს დატბორვის არეალში და ასევე, წარმოადგენენ განსაკუთრებულ სარეკრეაციო ზონას. აღსანიშნავია, რომ მიწის ნაკვეთებს შორის ფასთა სხვაობა შეადგენს 351000 ლარს, რომელსაც კომპანია გადაიხდის ხელშეკრულების გაფორმებიდან 8 თვის ვადაში.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 32

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

31. „ქალაქ თბილისში, ცოტნე დადიანის ქუჩა, N1ბ/გიგო ზაზიაშვილის ქუჩა, N2-ში არსებული 112.52 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.16.02.040.002.01.507) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ ზემოთ ხსენებულ, მუნიციპალიტეტის თანასაკუთრებაში არსებულ, მისამართზე ფუნქციონირებს მოქალაქეთა მომსახურების ცენტრი, სადაც ინვესტორი ახორციელებს შენობის დემონტაჟს და ახალი პროექტის განხორციელებას. აქდან გამომდინარე, მიმდებარე ტერიტორიაზე შეირჩა 153 კვ.მ ფართი, რომელსაც ინვესტორი გაარემონტებს შესაბამისი სტანდარტების მიხედვით და გადასცემს მუნიციპალიტეტს.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 33

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

32. „ქალაქ თბილისში, დასახლება ვარკეთილი, მასივი III, კვარტალი I, კორპუსი 6-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.029.002.01.513) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 32 კვ.მ. საცხოვრებელი ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 10 წელზე მეტია ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 33

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

33. „ქალაქ თბილისში, შალვა ნუცუბიძის ფერდობი, IV მიკრო/რაიონი, კორპუსი 33-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.012.012.01.027) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 90 კვ.მ. საცხოვრებელი ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2000 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 33

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

34. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში არსებული 10000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.39.034.004) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი საკითხი ეხება ყოფილი რადიოქარხნის პროექტს, რომლის რეალიზებაც განხორციელდა მუნიციპალიტეტის მიერ. ამ ტერიტორიაზე სამეწარმეო საქმიანობას ახორციელებდა ოცდაექვსი მეწარმე სუბიექტი, რომლებსაც, თავის მხრივ, დასაქმებული ჰყავდათ რამდენიმე ათეული ადამიანი. მიუხედავად იმისა, რომ მეწარმეები თვითნებურად იყვნენ ტერიტორიაზე, მუნიციპალიტეტმა, მეწარმეების საქმიანობის შეუფერხებლად გაგრძელების მიზნით, მიიღო გადაწყვეტილება, რომ სამგორის რაიონში მდებარე 10000 კვ.მ. მიწის ნაკვეთი გადასცეს ზემოთ ხსენებულ მეწარმეებს, რომლებიც სანაცვლოდ დატოვებენ ყოფილი რადიოქარხნის ტერიტორიას.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 33

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

35. „ქალაქ თბილისში, ქუჩა ხუდადოვი, N173-ში (საკადასტრო კოდი N01.16.09.001.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 4 საცხოვრებელი ფართის გადაცემა ოთხი ოჯახისთვის, რომელიც 1993-2000 წლებიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 33

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

36. „ქალაქ თბილისში, პარკი „მზიურის“ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: N01.14.14.005.156) არსებული 461 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „მზიანისთვის“ (ს/კ.: 404488121) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე ორიენტირებული კაფეს გადაცემა ა(ა)იპ „მზიანისთვის“, ორი წლის ვადით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 33

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

37. „ქალაქ თბილისში, ი.აბაშიძის ქუჩა N2-20-ის მიმდებარედ არსებული 16 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.14.11.031.086) პირდაპირი განკარგვის წესით მარინე ჯიშკარიანისთვის (პ/ნ.: 01009020593) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა მარინე ჯიშკარიანისთვის ხორციელდება, ზემოთ აღნიშნულ მისამართზე მდებარე ობიექტზე ინვენტარის განთავსების მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 33

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

38. „ქალაქ თბილისის თვითმმართველ ერთეულსა და შპს „სასკოს“ (ს/კ.: 205045636) (უფლებამონაცვლე - შპს „ფიტნეს 31“ (ს/კ.: 404477464) შორის 2008 წლის 18 იანვარს გაფორმებულ „უძრავი ქონების ნასყიდობისა და იპოთეკის ხელშეკრულებაში“ (სანოტარო

აქტი: N245/1) ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ ზემოთ ხსენებული ხელშეკრულების საფუძველზე მოხდა სპორტული ობიექტის განკარგვა, გარკვეული სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობის და სპორტული პროფილის 10 წლის ვადით შენარჩუნების ვალდებულებით. იქიდან გამომდინარე, რომ ვალდებულებების შესრულების ნაწილში არსებობს მცირედი ხარვეზები, კოპანიასთან მიღწეული იქნა შეთანხმება, რომ მოეხსება მიწის ნაკვეთის თავისუფალი ნაწილი, რომელზეც არ დგას შენობა-ნაგებობა და დაუდასტურდება ვალდებულების შესრულება. ხოლო მეორე ნაწილზე, სადაც განთავსებულია შენობა-ნაგებობა, ზემოთ ხსენებული ათწლიანი ვალდებულება გარდაიქმნება მუდმივ ვალდებულად და ასევე, კომპანია, 2 წლის ვადაში, განახორციელებს 300000 ლარის ინვესტიციას, არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად და სპორტული ობიექტის თანამედროვე სდანდარტებთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 33

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

39. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „გოლდვინს“ (ს/კ.: 405308135) შორის 2019 წლის 21 იანვარს გაფორმებულ „პირობებით გამოცხადებული აუქციონის N0-441-36-23013“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ აუქციონის წესით გაიყიდა მიწის ნაკვეთი, რომელსაც ჰქონდა მშენებლობის ჩარჩო-გეგმის ფარგლებში განხორციელების შეზღუდვა. თუმცა, კორექტირების შედეგად, აღნიშნული ჩარჩო-გეგმა გაუქმდა და აქედან გამომდინარე, წარმოდგენილია მიწის ნაკვეთისთვის ზემოთ ხსენებული შეზღუდვის მოხსნა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 33

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებული იქნა 11 დადგენილება და 27 განკარგულება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე გიორგი ახვლედიანი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სარევიზიო კომისიის მიერ 2019 წელს შესრულებული სამუშაოს წლიური ანგარიში

ქ.თბილისი 3 აპრილი 2020 წელი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის 2014 წლის 21 ივლისის №3-12 დადგენილებით დამტკიცებული დებულების თანახმად, სარევიზიო კომისიის მიერ 2019 წლის 1 იანვრიდან - 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეულ სამუშაოებზე დაყრდნობით შედგენილია წინამდებარე ანგარიში, რომელიც კომისიაზე განხილვის შემდგომ წარედგინება საკრებულოს.

მოცემული დოკუმენტი შემუშავებულია ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის 2014 წლის 21 ივლისის № 3-12 დადგენილებით დამტკიცებული დებულების თანახმად, სარევიზიო კომისიის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული სარევიზიო შემოწმებების შედეგად შედგენილი შემოწმება-ანალიზის დასკვნებზე დაყრდნობით.

2019 წლის სარევიზიო კომისიის სამუშაო გეგმა დამტკიცებულ იქნა 2019 წლის 24 იანვარს, რომელის თანახმადაც წლის განმავლობაში კომისია ახორციელებს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ორგანოების საფინანსო საქმიანობის შემოწმებას, დასკვნების შედგენას და რეკომენდაციების გაცემას. დამტკიცებული გეგმა მოიცავს 18 შესამოწმებელ ორგანიზაციას მათ შორის, ქ.თბილისის 180 საბავშვო ბაგა-ბაღს შერჩევითი მეთოდით.

სარევიზიო კომისია, სარევიზიო შემოწმებას ახორციელებს სარევიზიო კომისიის სამდივნოს თანამშრომელთა მეშვეობით, რომლებიც თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ხელმძღვანელობენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის 2014 წლის 21 ივლისის № 3-12 დადგენილებით დამტკიცებული დებულებისა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად. ასევე კონკრეტული შემოწმებიდან გამომდინარე, შესაბამის სფეროში მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების საფუძველზე.

ჯგუფის წევრები შემოწმების წარმოებისას გარდა სარევიზიო კომისიის დებულებით განსაზღვრული უფლებამოსილებებისა ხელმძღვანელობენ, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის დავალებით და მის საფუძველზე გაცემული შესამოწმებელი ობიექტის შემოწმების პროგრამით. ასევე, ხელმძღვანელობენ შესამოწმებელი ობიექტის მიერ

წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ინფორმაციით, რომლის სისრულეზე და სისწორეზე პასუხისმგებელია შესაბამისი შესამოწმებელი ობიექტი, ხოლო ჩატარებული შემოწმებისა და მის საფუძველზე შედგენილი შემოწმება-ანალიზის დასკვნის სისწორეზე პასუხისმგებელია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის შესაბამისი შემმოწმებელი ჯგუფი.

სარევიზიო შემოწმებისას შემოწმების პროცესი მიმდინარეობს ობიექტურად, მიუკერძოებლად და დამოუკიდებლად მასალების ყოველმხრივი შესწავლის საფუძველზე. შემოწმების დასრულების შემდგომ მასალები წარედგინება კომისიას განხილვისთვის.
შემოწმება-ანალიზის ყველა დასკვნა სარევიზიო კომისიის მიერ განიხილება სხდომაზე. (სხდომამდე შემოწმება-ანალიზის დასკვნა გასაცნობად ეგზავნებათ შემოწმებულ ორგანიზაციებს, რომლებმაც 7 დღის განმავლობაში უნდა წარმოადგინონ თავიანთი მოსაზრებები-შენიშვნები დასკვნის ირგვლივ) სარევიზიო კომისიის სხდომაზე ხმათა უმრავლესობით მიიღება შესაბამისი გადაწყვეტილება დასკვნის შემდგომი რეაგირების თაობაზე.

სარევიზიო კომისიის მიერ 2019 წლის 1 იანვრიდან - 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში შემოწმდა სულ 23 ორგანიზაციის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობა. შემოწმების შედეგად სარევიზიო კომისიის სამდივნოს თანამშრომლების მიერ, შედგენილ იქნა შემოწმება-ანალიზის დასკვნები. მათ შორის: შვიდი ორგანიზაციის შემოწმება-ანალიზის დასკვნები განხილვის ეტაპზეა.

სარევიზიო კომისიის მიერ შემოწმებულ იქნა შემდეგი ორგანიზაციები, კერძოდ შემოწმდა:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 6 (ექვსი) საქალაქო სამსახური.

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის მიერ 2017 წლის 1 სექტემბრიდან 2019 წლის 1 ივნისამდე პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ 2017 წლის 1 აპრილიდან 2019 წლის 1 ივნისამდე პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ 2017 წლის 1 აგვისტოდან 2019 წლის 1 ივნისამდე პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.

4. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური მიერ 2016 წლის 1 მაისიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.

5. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური მიერ 2017 წლის 1 ივნისიდან 2019 წლის 1 აპრილამდე პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.

6. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ 2017 წლის 1 სექტემბრიდან 2019 წლის 1 ივლისამდე პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 5 (ხუთი) რაიონული გამგეობა.

1. ვაკის რაიონის გამგეობის მიერ 2017 წლის 1 ივნისიდან 2019 წლის 1 ივლისამდე პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.

2. მთაწმინდის რაიონის გამგეობის მიერ 2017 წლის 1 ივნისიდან 2019 წლის 1 ივლისამდე პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.

3. გლდანის რაიონის გამგეობის მიერ 2017 წლის 1 აგვისტოდან 2019 წლის 1 ივლისამდე პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.

4. ჩუღურეთის რაიონის გამგეობის მიერ 2017 წლის 1 ივნისიდან 2019 წლის 1 დეკემბრამდე პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.

5. დიდუბის რაიონის გამგეობის მიერ 2017 წლის 1 აგვისტოდან 2019 წლის 1 დეკემბრამდე პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.

ქალაქ თბილისის მერიის დაქვემდებარებაში არსებული ა(ა)იპ-ის 8 (რვა) ორგანიზაცია.

1. ააიპ „თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანება“-ს მიერ დაარსების დღიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.

2. ააიპ „საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის“ მიერ 2017 წლის 1 მარტიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.

3. ა(ა)იპ ქ.თბილისის №112-ე საბავშვო ბაგა-ბაღის მიერ 2016 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 1 აგვისტომდე პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.

4. ა(ა)იპ ქ.თბილისის №79-ე საბავშვო ბაგა-ბაღის მიერ 2016 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.

5. ააიპ „ეროვნული სკრინინგ-ცენტრი"-ს მიერ 2017 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.

6. ა(ა)იპ ქ.თბილისის №51-ე საბავშვო ბაგა-ბაღის მიერ 2016 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.

7. ა(ა)იპ ქ.თბილისის №158-ე საბავშვო ბაგა-ბაღის მიერ 2016 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.

8. ა(ა)იპ ქ.თბილისის №72-ე საბავშვო ბაგა-ბაღის მიერ 2017 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 1 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დაქვემდებარებაში არსებული სსიპ-ის 4 (ოთხი) ორგანიზაცია.

1. სსიპ "თბილისის საერთაშორისო ხელოვნების საფესტივალო ცენტრი" - ს მიერ 2015 წლის 1 ნოემბრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.

2. სსიპ "ქონების მართვის სააგენტო"-ს მიერ 2016 წლის 1 ოქტომბრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.

3. სსიპ „ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო" - ს მიერ 2017 წლის 1 მარტიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.

4. სსიპ "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2016 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 1 იანვრამდე პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.

სარევიზიო კომისიის 2018 წლის სამუშაო გეგმის ფარგლებში შემოწმებული ორგანიზაციები:

1. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის მიერ 2016 წლის 1 აგვისტოდან 2018 წლის 1 ივლისამდე პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმების ჩატარება.

2. შპს "თბილსერვის ჯგუფი"-ს მიერ 2016 წლის 1 ოქტომბრიდან 2018 წლის 1 ივლისამდე პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.

3. ა(ა)იპ "თბილისის განვითარების ფონდი"-ს მიერ 2016 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 1 ივლისამდე პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.

ჩატარებული შემოწმებებით დადგენილი იქნა სხვადასხვა სახის დარღვევები:

მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

შემოწმებით დადგინდა:

06 02 04 01 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკურორტო მომსახურება

2017 წლის 05 მაისს ტენდერში გამარჯვებულ პირთან ა(ა)იპ ,,სტუდია ეი-დი-სი"-სთან დაბა ურეკში შშმ ბავშვთა და მოზარდთა საკურორტო მომსახურების შესყიდვაზე გაფორმებული იქნა 524 880 ლარის (სულ 1200 საგზური, შემსყიდველის მიერ შერჩეული 3-დან-20 წლამდე 600 შშმ პირი და 600 შშმ პირის გამყოლები) N06.02.04.01/30/275 ხელშეკრულება.

შესამოწმებელ პერიოდში 2017 წლის 01 სექტემბრიდან გაფორმებული იქნა 3 (სამი) მიღება-ჩაბარების აქტი, რომელთა მიხედვითაც მომსახურება გაეწია 419 (შშმ მოზარდები და მათი გამყოლები) ადამიანს თანხით 183270,6 ლარი.

თავიდანვე ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვით არ იქნა გათვალისწინებული, რომ ცალცალკე ყოფილიყო გამიჯნული კვების, ტრანსპორტირებისა და სასტუმროს ხარჯები, ასევე ბავშვთა კვების მენიუში თავიდანვე არ იქნა დაფიქსირებული ერთ ბავშვზე ულუფების წონები და კვების პროდუქტების რაოდენობა. თუმცა 2017 წლის ბოლოდან საკურორტო მომსახურება გადასულია ვაუჩერულ დაფინანსებაზე.

06 02 09 სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების პროგრამა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების ,,სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების" ქვეპროგრამის (კოდი:06 02 09) განხორციელების წესიდან გამომდინარე დოკუმენტაცია, კერძოდ:

,,საქართველოს ფარგლებს გარეთ დაფინანსების შემთხვევაში, მოსარგებლე ან მისი კანონიერი წარმომადგენელი ვალდებულია სამედიცინო დაწესებულებიდან უზრუნველყოს დაფინანსებული სამედიცინო მომსახურების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა"

,,საქართველოს ფარგლებს გარეთ დაფინანსების შემთხვევაში, პირი ან მისი კანონიერი წარმომადგენელი თანხმობის ბარათის (ფორმა N1) საფუძველზე იღებს ვალდებულებას, რომ თუ

პირმა არ მიიღო შესაბამისი სამედიცინო მომსახურება/საჭიროება, იგი ან მისი კანონიერი წარმომადგენელი უზრუნველყოფს თანხის უკან დაბრუნებას.“

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სამსახურის მიერ წარმოდგენილი იქნა მოხსენებითი ბარათი თავისი დანართით ცხრილის სახით სადაც ფიქსირდება, რომ შესამოწმებელ პერიოდში 2017 წელს საქართველოს ფარგლებს გარეთ სამედიცინო მომსახურებაზე გადარიცხულ თანხებზე 6 შემთხვევაში მთლიანი თანხით 56 880 ლარი არ არის წარმოდგენილი დაფინანსებული სამედიცინო მომსახურების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ხოლო 2018 წლის სამედიცინო მომსახურებაზე გადარიცხულ თანხებიდან არ არის წარმოდგენილი დაფინანსებული სამედიცინო მომსახურების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია 46 შემთხვევაში მთლიანი თანხით 467 883 ლარი.

ხოლო სამსახურის ინფორმაციით 2019 წლის 6 თვის განმავლობაში ჩატარებული კომისიებიდან მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე გადარიცხული თანხის ათვისების თაობაზე შესრულებული სამუშაოს არ წარმოდგენა განპირობებულია იმით, რომ ჯერ კიდევ არის ვადა.

სამსახურის განმარტებით, აღნიშნულ ყველა ფაქტთან დაკავშირებით გაკეთებულია მიწერილობა ყველა პასუხისმგებელ პირთან შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის ვალდებულებაზე.

06 02 02 სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება

ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან ,,სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000-ს და აღნიშნული ბაზის მიხედვით ოჯახში ფიქსირდება 3 და მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვი.

ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარების მიმღები ოჯახის ყოველ 18 წლამდე ბავშვზე, ყოველთვიურად გაიცემა ფულადი დახმარება 50 ლარის ოდენობით.

შემოწმებით გამოვლინდა ისეთი ფაქტები, როდესაც 3-7 ბავშვიან ოჯახებს ერთიანად აქვთ აღებული 4, 5, 6 და 7 თვის აუღებელი დაგროვილი დახმარება თანხით 79 150 ლარი.

ფიქსირდება ფაქტები, როდესაც სოციალურად დაუცველი ოჯახების უფლებამოსილ პირებს არ აქვთ გატანილი შესაბამისი პლასტიკური ბარათები მომსახურე ბანკიდან რამოდენიმე თვის განმავლობაში, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000-ს. თუმცა აღნიშნული თანხების გაცემა ხდება სსიპ ,,სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მიერ მოწოდებული, დახმარების გაცემის წინა თვის მდგომარეობის ამსახველი ,,სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის“ მიხედვით და ამავდროულად ფულადი

დახმარების გადარიცხვის მომენტისათვის, ქვეპროგრამის განმახორციელებლისათვის, მომსახურე ბანკის მიერ მოწოდებულ მონაცემებში ფიქსირდება ინფორმაცია ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის სახელზე არსებული აქტიური (გატანილი) საბანკო ბარათის შესახებ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური

შემოწმებით დადგინდა:

1. გამოვლენილია შემთხვევები, როდესაც სხვადასხვა მომწოდებლის მიერ სახელშეკრულებო საგნის მიწოდება განხორციელდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დაგვიანებით, ხოლო შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ან საერთოდ არ მომხდარა შემსრულებლის დაჯარიმება ან არასწორი გაანგარიშებით მოხდა საურავის დარიცხვა. აქტში წარმოდგენილი შემთხვევების შედეგად, არ მომხდარა სულ 4 772 ლარის ოდენობის პირგასამტეხლოს, საურავის ან ჯარიმის ბიუჯეტის სასარგებლოდ დარიცხვა. ჯარიმისა და პირგასამტეხლოს დოკუმენტაცია ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული არ არის. აღსანიშნავია, რომ ჯარიმის გაანგარიშების დროს გამოვლენილი უზუსტობაზე პასუხისმგებელია ქ.თბილისის მერიის საფინანსო სამსახური.

2. შემოწმების შედეგად გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც არასწორად მოხდა სამივლინებო ხარჯების დათვლა. ამ კუთხითაც მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურს მეტი ყურადღების გამოჩენა მართებს.

3. 2017 და 2018 წლებში ქ.თბილისის მერიას და შ.პ.ს. „უორვიკშირ ესთეითის საქართველოს წარმომადგენლობას“ შორის, გაფორმდა ხელშეკრულებები ტრადიციული რეწვის ხელშეწყობის მიზნით, სავაჭრო ცენტრ „მერანი“-ს შენობაში, საახალწლო გამოფენა გაყიდვის ღონისძიების მოსაწყობად, ფართის იჯარით აღების შესახებ. ხელშეკრულებების გაფორმების საფუძველს წარმოადგენს ქ.თბილისის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის თანამშრომლებს და საქართველოს სოციალურ საწარმოთა ალიანსის ხელმძღვანელობის ელექტონული ფორმით მიმოწერა. შემმოწმებელ ჯგუფს, მიზანშეწონილად მიაჩნია გაიცეს რეკომენდაცია, რომ მსგავსი ღონისძიებების დაფინანსება მოხდეს, ორგანიზატორი ორგანიზაციის მიერ მერიაში წარდგენილი წერილის, განცხადების ან სხვა რაიმე წერილობითი ფორმით მიმართვის საფუძველზე.

4. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ, 2018 - 2019 წლებში, თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერის პროგრამით (კოდი 04.08) გათვალისწინებული ასიგნების ფარგლებში, განხორციელდა სხვადასხვა თემატიკის ტრენინგების, სამუშაო შეხვედრის, ვორკშოპების და სემინარების ჩატარება, რაზეც გახარჯული იქნა სულ 34 230 ლარი. აღნიშნული სემინარების, ტრენინგების, ვორკშოპების და სამუშაო შეხვედრის ფარგლებში წარმოდგენილია ინფორმაცია

ღონისძიებებზე დამსწრე საზოგადოების შესახებ, თუმცა გაურკვეველია, როგორ მოხდა აღნიშნული პიროვნებების შერჩევა. გაურკვეველია როგორ მოხდა თემატიკის შერჩევა და რამდენად იქნა მიღწეული, პროექტით დაგეგმილი მოსალოდნელი შედეგი. შემმოწმებელ ჯგუფს მიზანშეწონილად მიაჩნია გაიცეს რეკომენდაცია, რომ მსგავსი ღონისძიებების დაგეგმვის დროს მეტად კონკრეტულად იყოს განსაზღვრული ღონისძიების მიზანი და მოსალოდნელი შედეგი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური

შემოწმებით დადგინდა:

1) 2018 წლის 01 მაისს გამარტივებული შესყიდვის ფარგლებში შპს „ენსისისთან" (ს/კ 206317948) ქალაქ თბილისში, თამარ მეფის სახელობის ხიდზე ასასვლელი პანდუსის რეაბილიტაციის წინმსწრებ-დამზღვევი სამუშაოების შესყიდვაზე, სახელშეკრულებო ღირებულებით 199 978.79 ლარი. სამუშაოების მიწოდების ვადად განისაზღვრა 60 კალენდარული დღე (2018 წლის 30 ივნისის ჩათვლით) 2018 წლის 21 სექტემბერსა და 09 ოქტომბერს გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტების მიხედვით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 148 941,35 ლარი.

მიმწოდებელს დაგვიანებით მიწოდებისთვის ხელშეკრულების მე-8 მუხლის 8.6 პუნქტის მიხედვით დაეკისრა პირგასამტეხლო, სახელშეკრულებო ღირებულების 0.02%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ჯამში პირგასამტეხლომ შეადგინა 15 დღე თანხით 476.97 ლარი. მიმწოდებელზე სულ გადახდილია 148 464.37 ლარი.

აღსანიშნავია, რომ დოკუმენტაციის მიხედვით სამუშაოების სრული ნაწილის დასრულება მოხდა 2018 წლის 19 ივლისს, 19 დღის დაგვიანებით, ნაცვლად 15 დღისა, შესაბამისად მოთხოვნილი და დაკავებული პირგასამტეხლოს თანხა 476.97 ლარის ნაცვლად უნდა ყოფილიყო 604.15 ლარი.

2) ანალოგიურად 2018 წლის 17 დეკემბერს გამარტივებული შესყიდვის ფარგლებში დაიდო ხელშეკრულება N02.02/10/558 შპს „ჯეიბისთან" (ს/კ 406147227) ქალაქ თბილისში, ზემო ფონიჭალა N3-ში (კორპუსი N23) მდებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის წინმსწრებ-დამზღვევი სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვაზე, სახელშეკრულებო ღირებულებით - 399 498.99 ლარი. სამუშაოების მიწოდების ვადად განისაზღვრა 2019 წლის 20 თებერვალი. სამუშაოების დასრულების ვადამ გადაიწია 2019 წლის 16 აპრილამდე. 2019 წლის 14 მაისს გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტზე დართული შესრულებული სამუშაოების ფორმა N2-ის მიხედვით სამუშაოების დასრულების თარიღია 2019 წლის 01 მაისი.

გეგმა-გრაფიკის დაგვიანებით წარმოდგენის გამო ხელშეკრულების მე-8 მუხლის 8.2 პუნქტის მიხედვით მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 0.06%-ის ოდენობით პირგასამტეხლომ შეადგინა 239.70 ლარი. აღსანიშნავია, რომ დოკუმენტაციის მიხედვით სამუშაოების ბოლო ნაწილის დასრულება მოხდა 2019 წლის 01

მაისს, 14 დღის დაგვიანებით, შესაბამისად მიმწოდებელს, ხელშეკრულების მე-8 მუხლის 8.6 პუნქტის მიხედვით უნდა დაკისრებოდა პირგასამტეხლო 581.20 ლარის ოდენობით, 239.70 ლარის ნაცვლად.

ასევე, სამსახურზე გაიცა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

- შესყიდვების დროს მიაქციოს ყურადღება სატენდერო დოკუმენტაციის პირობებისა და შესყიდვების კანონის მოთხოვნების შესრულებას, ასევე ხელი შეუწყოს მეტი კონკურენციის განვითარებას ტენდერის მიმდინარეობისას.
- შესასრულებელი სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ მოხდეს უფრო ზუსტად, რათა მაქსიმალურად ეფექტიანად იქნეს გამოყენებული ელექტრონული ტენდერის მთავარი ფუნქცია - ისეთი შემსრულებლის გამოვლენა, რომელიც სხვა მონაწილეებთან შედარებით უმცირესი ფასით შეასრულებს სამუშაოებს, რითაც დაიზოგება საბიუჯეტო სახსრები.
- ყურადღება მიაქციოს სამუშაოების მიმდინარეობისას შესასრულებელი პოზიციების ჩანაცვლებას იდენტური სამუშაოებით, რათა ჩანაცვლება არ იქნას გამოყენებული საბიუჯეტო სახსრების ზედმეტად ხარჯვისთვის.
- საპროექტო მომსახურების შეძენისას საბიუჯეტო სახსრები დახარჯულ იქნას მხოლოდ იმ პროექტებზე, რომელთა შესრულებაც იგეგმება უახლოეს წლებში.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

შემოწმების შედეგად გამოვლენილ შენიშვნებზე ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის მიერ უნდა გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები.

მიაქციოს ყურადღება შესყიდვების დროს შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოების წესებს და ხელშეკრულების პირობებს.

- პირველადი აღრიცხვის დოკუმენტების (მიღება-ჩაბარებები) შედგენა უზრუნველყოს სამეურნეო ოპერაციების მოხდენის მომენტში, ან უშუალოდ მისი დამთავრებისთანავე.
- დასაბუთებული მოთხოვნების საფუძველზე დროულად მიმართონ შესყიდვების საქალაქო სამსახურს, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო საჯარიმო სანქციების გამოყენებასთან დაკავშირებით.
- საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე არ მოახდინონ მიმწოდებლისათვის თანხის სრულად ანაზღაურება.
- არ დაუშვან სახელშეკრულებო ღირებულების გაზრდა, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისის გარდა.
- მხარეთა შორის შეთანხმება და ხარჯთაღიცხვის ცვლილება არ დაუშვან მას შემდეგ რაც გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტები და მოხდება თანხის ანაზღაურება.

- შესასრულებელი სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ მოხდეს უფრო ზუსტად, რათა მაქსიმალურად ეფექტიანად იქნეს გამოყენებული ელექტრონული ტენდერის მთავარი ფუნქცია - ისეთი შემსრულებლის გამოვლენა, რომელიც სხვა მონაწილეებთან შედარებით უმცირესი ფასით შეასრულებს სამუშაოებს, რითაც დაიზოგება საბიუჯეტო სახსრები.
- გაითვალიწინონ შემოწმება-ანალიზის დასკვაში ასახული სხვა დარღვევა/ნაკლოვანებები.

ა.(ა).ი.პ. ქ.თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანება

შემოწმების შედეგდად გამოვლინდა:

1. ა.(ა).ი.პ. თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანების დოკუმენტაციის შემოწმების შედეგად გამოვლენილია შემთხვევები, როდესაც ადგილი აქვს 2017 წლის 19 ივლისამდე მოქმედი, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების სხვადასხვა მუხლებით განსაზღვრული მოთხოვნების დარღვევას. ასევე რიგ შემთხვევებში დარღვეულია დღეის მდგომარეობით მოქმედი სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის N12 ბრძანება. კერძოდ ხშირია შემთხვევები, როდესაც შესრულებული სამუშაოების დამადასტურბელი მიღება - ჩაბარების აქტები ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთულია მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული ვადების დაგვიანებით. დარღვეულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანების 38-ე მუხლის მეორე ნაწილი.

2. ორგანიზაციის მოქმედი შინაგანაწესის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად დასაქმებული ვალდებულია სამივლინებო ანაზღაურების მისთვის ჩარიცხვიდან არაუგვიანეს 65 დღის ვადაში გაერთიანების ფინანსურ მენეჯერს წარუდგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია. ვერ იქნა წარმოდგენილი საქართველოს ფარგლებს გარეთ განხორციელებული მივლინების ხარჯების დამადასტურბელი დოკუმენტაცია.

3. ორგანიზაციაში ინვენტარიზაციების ჩატარების დროს საინვენტარიზაციო კომისიის წევრია მატერიალურად პასუხისმგებელი პირი რითაც დარღვეულია ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული ინვენტარიზაციის ჩატარების წესის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, რომლის თანახმადაც, მატერიალურად პასუხისმგებელი პირი არ შეიძლება იყოს საინვენტარიზაციო კომისიის წევრი.

ააიპ „საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი"

შემოწმების შედეგდად გამოვლინდა:

1. 2017 წლის 17 თებერვალს შპს ავტო ვორლდ AVTO WORLD-თან ა(ა)იპ საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურ მომსახურებაზე გაფორმებული იქნა ხელშეკრულება N რფ/1 ღირებულებით 22 000 ლარი.

შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პირობებით ავტომანქანების ტექნიკური მომსახურება უნდა განხორციელდეს მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში დეფექტური აქტის შედგენის შემდეგ, რომელშიც მითითებული უნდა იყოს გასაწევი მომსახურების ან/და ასეთი მომსახურებისათვის საჭირო საქონლის (სათადარიგი ნაწილების) ჩამონათვალი და ღირებულება.

მიუხედავად ამ ტექნიკური პირობისა დეფექტური აქტები შედგენილია ცალმხრივად მხოლოდ ა(ა)იპ საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის სამეურნეო და მატერიალური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსისა და ტრანსპორტის, მცირე მექანიზაციისა და სარწყავი სისტემების სპეციალისტის ხელმოწერით.

ხელშეკრულებიდან გამომდინარე გაწეული იქნა სულ 21 601,88 ლარის მომსახურება.

2. წარმოდგენილი ინფორმაციით 2019 წლის 1 იანვრისათვის ა(ა)იპ „საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღს“ გააჩნია 43 872,38 ლარის დებიტორული დავალიანება და 10 797,33 ლარის კრედიტორული დავალიანება. კრედიტორული დავალიანება ძირითადათ გამოწვეულია წინასწარ ჩარიცხული თანხებიდან გამომდინარე, ხოლო დებიტორული დავალიანებაში გარდა მიმდინარე დავალიანებებისა შედის 22 758 ლარის დავალიანება, რომელიც წარმოშობილია ა(ა)იპ - საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის „ვიზიტორთა სახლის“ საზოგადოებრივი კვების ობიექტის (86,6 კვ.მ) იჯარის ქირის გადაუხდელობით, კერძოდ აუქციონის წესით გიორგი ოდილავაძესთან გაფორმებული იქნა საიჯარო ხელშეკრულება (20.07.2016 ე-1-19877), სადაც იჯარის თვიური საფასური განისაზღვრა 1 550 ლარით.

2018 წლის 19 დეკემბერს ა(ა)იპ „საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღსა“ და გიორგი ოდილავაძესთან გაფორმებული იქნა შეთანხმება ხელშეკრულების შეწყვეტაზე, სადაც აღნიშნულია, რომ მოიჯარე (გიორგი ოდილავაძე) ვალდებულია 12 თვის ვადაში სრულად გადაიხადოს ხელშეკრულების შეწყვეტამდე არსებული დავალიანება 22 758 ლარი (საიჯარო ქირა 15 500 ლარი, პირგასამტეხლო 2 252,15 ლარი და კომუნალური გადასახადი 5 005,85 ლარი). გადახდა გათვალისწინებულია გრაფიკით 2019 წლის 31 იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრამდე თვეში 1896,50 ლარის ოდენობით, თუმცა დღეის მდგომარეობით მოიჯარის მიერ არანაირი თანხა არ არის გადახდილი.

აღნიშნულ საკითხზე ააიპ „საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი”-მა ხელშეკრულების ვალდებულებების შეუსრულებლობაზე, მიმართლა სასამართლოს ფულის ამოღების მიზნით.

ყველა ესეთ შემთხვევებში საჭიროა დროულად განხორციელდეს რეაგირებები (სასამართლოს წესით) ხელშეკრულების ვალდებულებების შეუსრულებლობაზე, კერძოდ იჯარის ქირის გადაუხდელობაზე თანხების ამოღების მიზნით.

3. ა(ა)იპ ,,საქართველოს ბოტანუკური ბაღი''-ს მიერ 2016 წლის 11 ოქტომბერს, ბოტანიკური ბაღის ტოპოგრაფიული რუკის შექმნასთან დაკავშირებული ტოპო-გეოდეზიური მომსახურების შესყიდვაზე გამოცხადებული იქნა გამარტივებული ელ. ტენდერი (SPA160026387), შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 45 000 ლარს დღგ-ს გათვალისწინებით. ტენდერში მონაწილეობას იღებდა ერთი პრეტენდენტი შ.პ.ს ,,ჯეოლენდი'' რომელთანაც 2016 წლის 2 ნოემბერს დაიდო ხელშეკრულება N1ეკ/91 ღირებულებით 45 000 ლარი, გასაწევი მომსახურების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2017 წლის 1 მაისის ჩათვლით.

შემოწმებით დადგინდა, რომ პრეტენდენტის მიერ ატვირთული დოკუმენტაცია არ აკმაყოფილებდა სატენდერო დოკუმენტაციის 4.3-ქვეპუნქტით განსაზღვრულ ტექნიკურ მოთხოვნებს, კერძოდ: მიღება-ჩაბარების აქტების დაჯამებით პრეტენდენტის წლიური ბრუნვა ვერცერთ წელს (2013-2014-2015 წლები) ვერ ადგენდა 100 000 ლარს.

ასევე პრეტენდენტის მიერ არ იქნა წარმოდგენილი გასაწევი მომსახურების გეგმა გრაფიკი რითაც დარღვეულია სატენდერო დოკუმენტაციის 4.6 -ქვეპუნქტის ტექნიკური მოთხოვნები.

დაცული იქნას სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური მოთხოვნები.

აღნიშნულ შენშვნებზე ააიპ ,,საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი''-ს მიეცათ რეკომენდაციები მათი საქმიანობის გამოსწორების მიზნით.

შემოწმებული იქნა ა.(ა).ი.პ. ქ.თბილისის საბავშო ბაგა-ბაღები N112-ე , N79-ე , N51-ე და 158-ე საბავშვო ბაგა-ბაღი

შემოწმების შედეგად ა.ა.ი.პ ქ.თბილისის საბავშო ბაგა-ბაღებში დადგენილი იქნა მსგავსი ნაკლოვანებები და შენიშვნები, რის გამოც ააიპ „თბილისის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს'' და თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღებს მიეცა რეკომენდაციები მათი საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით. ყველა რეკომენდაცია ააიპ „თბილისის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს'' და თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მიერ იქნა გათვალისწინებული.

ააიპ „ეროვნული სკრინინგ-ცენტრი"

შემოწმებით დადგინდა:

1. ა.(ა).ი.პ. ეროვნული სკრინინგ - ცენტრის შემოწმების შედეგად გამოვლენილია შემთხვევები, როდესაც ადგილი აქვს 2017 წლის 19 ივლისამდე მოქმედი, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების სხვადასხვა მუხლებით განსაზღვრული მოთხოვნების დარღვევას. ასევე რიგ შემთხვევებში დარღვეულია დღეის მდგომარეობით მოქმედი სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის N12 ბრძანება. კერძოდ არის შემთხვევები, როდესაც სამუშაოების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია როგორიცაა მიღება - ჩაბარების აქტი და სასაქონლო ზედნადები ერთიან ელექტრონულ სისტემაში ან საერთოდ არ არის ატვირთული ან ატვირთულია ბრძანებით განსაზღვრული ვადების დაგვიანებით. არის შემთხვევები, როდესაც ხელშეკრულების მოქმედების ვადა 30 დღეზე ნაკლებით აღემატება ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადას. ყოველი ზემოაღნიშნული ფაქტი წარმოადგენს **სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის N9 და N12 ბრძანებების სხვადახვა მუხლებით განსაზღვული მოთხოვნების დარღვევას.** ასევე გამოვლენილია შემთხვევები, როდესაც გამარტივებული შესყიდვის გზით გაფორმებული ხელშეკრულებების, ერთიან ელექტრონულ სისტემის CMR ველში ატვირთვა მოხდა შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის ბრძანებით განსაზღვრული ვადების დაგვიანებით. ასევე რიგ შემთხვევებში გამარტივებული შესყიდვის გზით გაფორმებული ხელშეკრულებებთან ერთად, ერთიან ელექტრონულ სისტემაში არ არის ატვირთული ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ. შესაბამისად **დარღვეულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის N13 ბრძანებით გათვალისწინებული მოთხოვნები.**

2. ა.(ა).ი.პ. ეროვნული სკრინინგ - ცენტრს და შ.პ.ს. „ჯეონეთს“ შორის 2018 წლის 18 იანვარს და 17 აგვისტოს, სატელეკომუნიკაციო მომსახურების შესყიდვის მიზნით გაფორმებული ხელშეკრულებების ღირებულებები გაიზარდა. ორივე შემთხვევაში ხელშეკრუების თანხის ზრდა გამოწვეული იყო შესასყიდი მომსახურეობის მოცულობის გაზრდით. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად შემსყიდველი ორგანიზაციისათვის იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები. **შესაბამისად დარღვეულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნები.**

3. 2018 წლის 10 სექტემბერს ა.(ა).ი.პ. „ეროვნულ სკრინინგ-ცენტრს“ და შ.პ.ს. „ჯი-ემ-ეს“ შორის, (SPA180006795) მამოგრაფის აპარატის შეძენის მიზნით გაფორმებული იქნა N10/09/2018-1 ხელშეკრულება, რომლის ღირებულებამ შეადგინა 510 000 ლარი. სატენდერო პირობების შესაბამისად მომწოდებელმა წარმოადგინა ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის და წინასწარი ანაგარიშწორების საბანკო გარანტიები, რომელთა მოქმედების ვადა 30 კალენდარული დღით აღემატებოდა საქონლის მიწოდების ვადას. მხარეებს შორის გაფორმებული სამი შეთანხმების საფუძველზე საქონლის მიწოდების ვადა ჯამში გაიზარდა 75

კალენდარული დღით. შემსრულებლის მიერ წარმოდგენილი საბანკო გარანტიების მოქმედების ვადა უცვლელი დარჩა. შესაბამისად დარღვეულია ხელშეკრულების 8.2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები.

4. შემოწმების შედეგად გამოვლენილია ოთხი შემთხვევა, როდესაც საქონლის მიწოდება მოხდა ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებული ვადების დაგვიანებით, ხოლო ა.(ა).ი.პ. ეროვნული სკრინინგ - ცენტრის მიერ არ მომხდარა შემსრულებლის დაჯარიმება.

შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით ა.(ა).ი.პ. ეროვნული სკრინინგ - ცენტრისთვის გაიცა რეკომენდაცია.

სსიპ „თბილისის საერთაშორისო ხელოვნების საფესტივალო ცენტრი"

შემოწმების შედეგდად გამოვლინდა:

„ცენტრი" დაფუძნებულ იქნა ქ. თბილისის მთავრობის, 2009 წლის 24 თებერვლის, N05.12.121 დადგენილების საფუძველზე.

მისი ფუნქციონირების მიზანია, სხვადასხვა სახის საერთაშორისო თუ ადგილობრივი ფესტივალებისა და კულტურული ღონისძიების ჩატარებით უზრუნველყოს: თბილისისთვის საერთაშორისო კულტურული და ტურისტული სტატუსის მოპოვება; კულტურული ცხოვრების გამდიდრება თანამედროვე ხელოვნების საინტერესო ნამუშევრებით; ქართული ხელოვნების პროპაგანდა და რეკლამირება საერთაშორისო კულტურულ სივრცეში.

2019 წლის 18 აპრილს, საფესტივალო ცენტრიდან, სარევიზიო კომისიის შემოწმება-ანალიზის დასკვნაზე, მიღებული იქნა შეპასუხების წერილი N14-02, რომელიც დასკვნაში ასახულ შენიშვნებთან დაკავშირებით მნიშვნელოვან ცვლილებებს არ მოიცავს.

1.) 2016 წელს რიგ შემთხვევებში დარღვეულია ცენტრის წესდების მე-5 მუხლის ლ) პუნქტი რომლის თანახმად: "დირექტორი უზრუნველყოფს იმ პროგრამების შესრულებას, რომლებზეც რეკომენდაცია მიიღო მრჩეველთა საბჭოსგან და ეკრძალება ფესტივალის, კულტურული ღონისძიების ორგანიზება და განხორციელება მრჩეველთა საბჭოს შესაბამისი რეკომენდაციის გარეშე. ცენტრის მიზნებიდან გამომდინარე, უფლებამოსილია არ გაითვალისწინოს რეკომენდაცია, მრჩეველთა საბჭოს ერთი და იმავე რეკომენდაციის წარდგენის შემთხვევაში მხოლოდ ერთხელ."

ანალოგიური შემთხვევას აქვს ადგილი 2017 წელსაც, კერძოდ: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის, 2016 წლის 13 ივლისის N27.17.602 განკარგულებით, დადგენილ იქნა „ცენტრის" მრჩეველთა საბჭოს ახალი შემადგენლობა.

2017 წლის 22 მაისს, გამართულ იქნა მრჩეველთა საბჭოს კრება, რომლის დღის წესრიგში გათვალისწინებული იყო ორი საკითხი, კერძოდ: 2017 წლის თბილისის ფესტივლის საერთაშორისო პროგრამის წარდგენა და ქართული პროგრამის სპექტაკლების შერჩევისათვის, სარეკომენდაციო საბჭო შექმნა. „ცენტრის" დირექტორმა, ფესტივალის საერთაშორისო

პროგრამისთვის დასამტკიცებლად წარადგინა 8 (რვა) ძირითადი სპექტაკლი, რომელსაც მისივე სიტყვიერი განმარტებით დაემატებოდა კიდევ რამდენიმე სპექტაკლი.

2017 წლის ფესტივალი მიმდინარეობდა 18 სექტემბრიდან 06 ოქტომბრის ჩათვლით და საერთაშორისო პროგრამის ფარგლებში მონაწილეობა მიღებული აქვს 8 საერთაშორისო თეატრალური დასს. ჩატარებული სპექტაკლების ანალიზით დგინდება შემდეგი, კერძოდ: მრჩეველთა საბჭოს მიერ დამტკიცებული პროგრამიდან, სულ 8 სპექტაკლი, 3 სპექტაკლი საერთოდ არ ჩატარებულა („შტოლპერშტაინე", „ახალგაზრდა ექიმის ჩანაწერები", „home visit Europe", ხოლო მათ ნაცვლად დამატებული 3 ახალი ("ალუბლის ბაღი", „ათი" და „ხსოვნის ქვები შტატსთეატრიდან") სპექტაკლი, მრჩეველთა საბჭოზე საერთოდ არ ყოფილა განხილული და შესაბამისად დამტკიცებულიც.

2.) ინვენტარიზაცია - წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახამდ, 2016-18 წლებში, "ცენტრის" საინვენტარიზაციო კომისიის შემადგენლობა, შედგებოდა 4 წევრისაგან. საქართველოს ფინანსთა მინისტრის, 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანების „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის" დამტკიცების შესახებ, მე-5 მუხლის 5.3. პუნქტის თანახმად: „სავალდებულო ინვენტარიზაციის ჩატარების დროს, საინვენტარიზაციო კომისია უნდა შედგებოდეს არანაკლებ 5 წევრისაგან, მათ შორის, თავმჯდომარისაგან." (გარდა იმ შემთხვევისა, როცა საშტატო ერთეულები არასაკმარისი რაოდენობისაა)

3.) მივლინებები - მივლინებაში ნამყოფ თანამშრომლებს, არ აქვთ წარმოდგენილი შესაბამისი წერილობითი ანგარიშები, რითაც დარღვეულია ცენტრის შინაგანაწესის მე-8 მუხლის, 8.4. ქვეპუნქტის მოთხოვნა.

4.) საქმისწარმოების წესი - საქმისწარმოებისას ყურადღება მიექცეს „საქმიანობის ერთიანი წესების" ბრძანებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვასა და შესრულებას.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტო"

1) სარევიზო პერიოდში ადგილი ჰქონდა, როგორც სახელფასო დანამატის ისე პრემიის გაცემის ფაქტებს (სააგენტოს უფროსის მიერ გამოცემული ბრძანებების საფუძველზე) მაშინ როცა არ არის წარმოდგენილი დასაბუთება თუ რა მიზეზით მოხდა ამა თუ იმ თანამშრომლის წახალისება ერთმანეთისგან განსხვავებული ფულადი ჯილდოთი.

აუცილებელია წერილობით დასაბუთდეს ყველა ის გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას (საქართველოს ზოგადო ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლი).

2.) სარევიზიო პერიოდში სააგენტოს ბალანსზე რიცხული ა/მანქანების მომსახურეობაზე ხშირ შემთხვევაში არ არის შედგენილი დეფექტური აქტები. გარდა ამისა, ხშირია შემთხვევები, როცა დეფექტურ აქტებზე ხელმოწერა შესრულებულია მხოლოდ სამუშაოს შემსრულებლის მხრიდან. ასე მაგალითად: 2016 წლის ოქტომბრიდან ამავე წლის ბოლომდე სხვადასხვა ა/მანქანების მომსახურებაზე, წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით გაირკვა, რომ 5

(ხუთ) ა/მანქანას ჩაუტარდა 923,45 ლარის ღირებულების მომსახურება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ორ შემთხვევაში არ არის მიღება-ჩაბარების აქტი და არცერთ შემთხვევაში არ არის დეფექტური აქტი.

3.) 2017 წლის განმავლობაში ავტომანქანების მომსახურებაზე გაწეული ხარჯების ოდენობამ შეადგინა 17490,05 ლარი (აღნიშნული ხარჯები მოდის ა/მანქანების სხვადასხვა სათადარიგო ნაწილების და საპოხ-საცხები მასალების შეცვლაზე). 2017 წელს სულ შედგენილია 37 მიღება-ჩაბარების აქტი. როგორც შემოწმებით გაირკვა, დეფექტურ აქტებს არ ახლავს სააგენტოს წარმომადგენლის ხელმოწერები, ხელმოწერილია მხოლოდ შემსრულებელი ორგანიზაციის წარმომადგენლის მხრიდან, რაც გვაძლევს იმის საფუძველს რომ არსებობს ალბათობა იმისა, რომ სამუშაოს შემსრულებელმა თვითნებურად გაზარდოს სამუშაოს მოცულობა და შესაბამისად ხარჯების ოდენობაც. აღნიშნული გარემოება იმაზე მიგვანიშნებს, რომ სააგენტოს მხრიდან სრული უკონტროლობაა რეალურად შესრულებული სამუშაოს მიმართულებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როგორც დეფექტურ, ისე მიღება-ჩაბარებების აქტებში არ არის იმ მძღოლების ხელმოწერები, რომელი მძღოლის ა/მანქანებსაც ჩაუტარდათ ესა თუ ის მომსახურება.

2018 წელს წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ა/მანქანების მომსახურებაზე გაწეულია (სათადარიგო ნაწილები და საპოხ-საცხები მასალები) 7732,70 ლარის ხარჯი. მომსახურების ოდენობა შეადგენს 21ს. არცერთ შემთხვევაში არ არის დეფექტური აქტები. უფრო მეტიც შემოწმებით დადგინდა, რომ ცალკეულ შემთხვევაში, როგორც მიღება-ჩაბარების აქტები ისე ინვოისებში არ არის მითითებული ა/მანქანის სახ. ნომერი. ასე მაგალითად: 2018 წლის 22 ივნისს გაფორმებულია N080 მიღება ჩაბარების აქტი, რომლის თანახმად, გაურკვეველია (არ არის მითითებული) რომელი სახელმწიფო ნომრის ა/მანქანას ჩაუტარდა (492 ლარის ღირებულების) მომსახურება (პანელის მოწოდება) გარდა ამისა, ამავე მიღება-ჩაბარების აქტს ერთვის 2018 წლის 20 ივნისის N10 ინვოისი, რომლის თანახმად სამუშაოს დასახელებაში მითითებულია ერთი ცალი „ტოიოტა ქამრის უკანა პანელი". ამრიგად, გაურკვეველია, რომელ ა/მანქანას (სახელმწიფო თუ კერძო) ჩაუტარდა აღნიშნული მომსახურება, რადგან არ არის არც დეფექტური აქტი. უფრო მეტიც, ა/მანქანის უკანა პანელის შეცვლა ხდება ავტო საგზაო შემთხვევის შედეგად და მიყენებული ზიანის ანაზღაურება უნდა მომხდარიყო სადაზღვევო კომპანიის მხრიდან. ამ კონკრეტულ შემთხვევაში 492 ლარის ხარჯი გაიცა ბიუჯეტიდან. ანალოგიური ფაქტი გამოვლინდა 2018 წლის 22 ივნისის N078 მიღება-ჩაბარების აქტის თანახმად, სადაც არ არის მითითებული ა/მანქანის სახ-ფო ნომერი და აქაც შეძენილად ფიქსირდება ტოიოტა კამრის უკანა პანელის მოწოდება ღირებულებით 550 ლარი.ასევე გაფორმებულია 2018 წლის 22 ივნისის N079 მიღება-ჩაბარების აქტი, რომლის თანახმად შეძენილია ტოიოტა კამრის უკანა ბამპერის „ბალკა" 180 ლარის ღირებულების.

4.) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონებისმართვის სააგენტოს ბალანსზე რიცხული ავტომანქანების სადაზღვევო მომსახურებაზე გაფორმებული ხელშეკრულების ვადა ამოიწურა 2017 წლის 31 დეკემბერს. შემდგომი სადაზღვეო მომსახურების ხელშეკრულების

გაფორმება (კონსოლიდირებული ტენდერის საფუძველზე) განხორციელდა 2018 წლის 23 იანვარს. შესაბამისად 2018 წლის 01 იანვრიდან 2018 წლის 23 იანვრამდე პერიოდში სააგენტოს ბალანზე რიცხული ავტომანქანები იმყოფებოდა დაზღვევის გარეშე, აღნიშნულიდან გამომდინარე ავტომანქანებით სარგებლობა უნდა ყოფილიყო შეზღუდული, ან გაფორმებულიყო ხელშეკრულება სადაზღვეო კომპანიასთან გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით რადგან ავტოტრანსპორტის დაზღვევის მომსახურების არარსებობის გამო ორგანიზაციის ბალანსზე რიცხული ერთერთი ავტომანქანა სახელმწიფო ნომრით BVB-322 საგზაო შემთხვევის გამო სააგენტოს მიადგა მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი, კერძოდ შემთხვევა მოხდა 2018 წლის 16 იანვარს არასამუშაო საათებში, რომლის შეკეთებაზე გაიწია 6250 ლარის ხარჯი.

5.) შემოწმების პროცეში გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც სააგენტოს მიერ არ არის ატვირთულისისტემის CMR მოდულის შესაბამის ველში შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტები (მიღება-ჩაბარებები), ანუ შესრულების (მიღება-ჩაბარებების) თანხა ნაკლებია ფაქტობრივად გადახდილ თანხაზე, ამასთან ხშირია შემთხვევები, როდესაც ხელშეკრულება დასრულებულია, ხელშეკრულების მოქმედების ვადას გადაცილებულია და მას დღემდე აქვს სისტემაში სტატუსი „მიმდინარე ხელშეკრულება“.

სააგენტოს მიერ უგუვებელყოფილია 2017 წლის 14 ივნისის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის N12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“ს 38-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნები: „ხელშეკრულების შესრულების/შეუსრულებლობის შემთხვევაში არაუგვიანეს 10 დღის ვადაში, შემსყიდველი ორგანიზაცია სისტემის შესაბამის ველში ტვირთავს ხელშეკრულების შესრულების/შეუსრულებლობის დამადასტურებელ დოკუმენტაციას, ასახავს საბოლოო ანგარიშსწორების შესახებ ინფორმაციას და ანიჭებს ამ ხელშეკრულებას ხელშეკრულების შესაბამის სტატუსს („შესრულებული ხელშეკრულება“ ან „შეუსრულებელი ხელშეკრულება“)“.

6.) ერთ შემთხვევაში შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაზე 20% ზე მეტით ნაკლები იყო პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი და „სააგენტოს“ მიერ არ იქნა მოთხოვნილი ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტი. აღნიშნული ტენდერის ტექნიკური დოკუმენტაციის 2.3.5 პუნქტის თანახმად: „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-11 მუხლის 21 პუნქტის საფუძველზე, იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, პრეტენდენტმა შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში უნდა დაასაბუთოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობა შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით, პრეტენდენტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებით და სასაქონლო ზედნადებით (ანგარიშფაქტურა), რომელიც ადასტურებს პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ ფასად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას.

ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებაზე ვრცელდება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-12 მუხლის მე- 11–მე-14 პუნქტებით განსაზღვრული წესები.

შემოწმების შედეგად ყველა აღმოჩენილ შენიშვნებთან დაკავშირებით სსიპ „ქონების მართვის სააგენტო"-ს მიეცათ რეკომენდაციები.

სსიპ „ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო"

შემოწმების შედეგად გამოვლენილი იქნა სხვადასხვა სახის ნაკლოვანებები, რის გამოც საჭიროა სსიპ ,,ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო"-ს მიერ გატარებული იქნას შემდეგი ღონისძიებები:

1. ჩატარდეს ურბანულ გარემოში ბინადარი ცხოველების რიცხოვნობის დადგენა და შემუშავდეს დასახული მიზნის მიღწევის სტრატეგია და გეგმა სააგენტოს წესდების მე-3 მუხლის მე-3 ,,ა" პუნქტის შესაბამისად;
2. მოწესრიგდეს სააგენტოში მოსამსახურეთა სამსახურში გამოცხადებისა და დღის განმავლობაში გასვლის აღრიცხვა;
3. სააგენტოს თანამშრომლებზე პრემიებისა და დანამატების გაცემა მოხდეს შესაბამისი დასაბუთებისა და არგუმენტირების საფუძველზე;
4. გადაიხედოს სსიპ ,,ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო"-ს თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაზღვევის უკლებლივ ყველა თანამშრომელზე დაფინანსების საკითხი და ბიუჯეტის ხარჯზე დაზღვევა განხორციელდეს მხოლოდ უშუალოდ ცხოველებთან კონტაქტში მყოფ, მომატებული რისკის ქვეშ მყოფ თანამშრომლებზე;
5. მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციები ჩატარდეს კანონმდებლობის მოთხოვნების სრული დაცვით;
6. შესყიდვების განხორციელებისას ყურადღება მიექცეს შესასყიდი ობიექტის ტექნიკური მახასიათებლების (ზომა, წონა, ესკიზი და ა.შ.) და მომწოდებლის კვალიფიკაციის დაფიქსირებას;
7. აღიკვეთოს სააგენტოს კუთვნილი ავტომანქანის სამოქმედო ტერიტორიის ფარგლებს გარეთ გასვლისა და საწვავის არადანიშნულებით გამოყენების შემთხვევები;
8. იმ შემთხვევებში, როდესაც ავტომანქანის მიერ ფაქტიურად მოხმარებული საწვავის რაოდენობა მკვეთრად აღემატება საპასპორტო ნორმას, დადგინდეს გამომწვევი მიზეზი და განხორციელდეს შესაბამისი ღონისძიებები;
9. მოწესრიგდეს ერთიანი საქმისწარმოებისა და დოკუმენტების წარმოება-რეგისტრაციის სრულყოფილად წარმოების საკითხი.

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური

შემოწმების შედეგად გამოვლენილი იქნა სხვადასხვა სახის ნაკლოვანებები, რის გამოც საჭიროა სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ გატარებული იქნას შემდეგი ღონისძიებები:

1. სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული იქნას თანამდებობრივი ინსტრუქციები;

2. სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ ქ.თბილისის მერიის მუნიციპალიტეტის ფართით სარგებლობისა და კომუნალური გადასახდელების საკითხი დარეგულირდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

3. სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას მკაცრად იქნას დაცული კანონის მოთხოვნები;

4. ყურადღება მიექცეს ფინანსური და მატერიალური რესურსების ეფექტურ და რაციონალურ გამოყენებას და ნაკლები დანახარჯების პრინციპით მეტი შედეგების მიღწევის საკითხს.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცია

შემოწმების შედეგდად გამოვლინდა:

1.) პრემიის გაცემის შესახებ ქ. თბილისის მერის მიერ გამოცემული ბრძანებების და დანართების შესწავლისას გამოვლინდა, რომ დოკუმენტაცია არ იძლევა საშუალებას გაირკვეს, რა კონკრეტული დამსახურებისთვის ხდებოდა მოსამსახურეთა პირადი წვლილის შეფასება და პრემირება. ბრძანებები არ მოიცავს ინფორმაციას თუ რა მიზეზით მოხდა ამა თუ იმ თანამშრომლის წახალისება.

აუცილებელია პრემიის გაცემის შესახებ ბრძანება, როგორც წერილობითი ფორმით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას. წერილობით დასაბუთებაში უნდა იყოს მითითებული ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას. (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლი).

სარევიზიო პერიოდში მივლინებაზე გაწეული ხარჯების შემოწმებით დადგინდა:

2016 წელს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სამსახურში რიგ შემთხვევებში არ ხდებოდა მივლინებიდან დაბრუნებული თანამშრომლების მიერ შესრულებული დავალების შესახებ ანგარიშების - მოხსენებითი ბარათის წარმოდგენა. გარდა ამისა არის შემთხვევები როდესაც მერიის საფინანსო სამსახურს ბრძანების სახით არ მიუღია

საზღვარგარეთ მივლინებების შესახებ ინფორმაცია და შესაბამისად, არც მათ მიერ არაა წარდგენილი მივლინების შესახებ ანგარიში.

მომავალში მსგავს ფაქტებს რომ არ ქონდეს ადგილი, რეკომენდირებულია სამსახურმა მივლინებასთან დაკავშირებით დოკუმენტაცია მოიყვანოს წესრიგში, მივლინებას საფუძვლად, როგორც წესი, უნდა ერთოს დასაბუთებული მტკიცებულებათა ერთობლიობა – მოწვევა, მოხსენებითი ბარათი მივლინების მიზნებისა და შესასრულებელი დავალებების შესახებ.

ასევე 2017-2018 წლებში ხშირი ხასიათი აქვს მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებას დაგვიანებით.

სახელმწიფო შესყიდვები

1) 2016 წლის 8 აგვისტოს შ.პ.ს. „დაგი"სთან გაფორმებულ N 10.02/30/421 ხელშეკრულების მიხედვით სამუშაოები უნდა დასრულებულიყო 08 ოქტომბერს, თუმცა 2016 წლის 10 ოქტომბრის ცვლილებაში ვკითხულობთ, რომ მხარეებს შორის 07 ოქტომბერს გაფორმდა ურთიერთშეთანხმების აქტი, რომლის მიხედვითაც, გაუთვალისწინებელი სამუშაოების გამო (იატაკი, რომლის დემონტაჟიც უნდა მომხდარიყო, გათვალისწინებული იყო 8 სმ, აღმოჩნდა 10-15 სმ, ასევე, განახლებული ცენტრისთვის უფრო მძლავრი სავენტილაციო სისტემა იყო საჭირო.) გეგმა გრაფიკი შეიცვალა და საბოლოო სამუშაოების დასრულების ვადამ გადაიწია 31 ოქტომბრამდე, ცვლილების გამო დაკორექტირდა სამუშაოები და სახელშეკრულებო ღირებულება გაიზარდა 24 745 ლარით, რის გამოც, შემსრულებელს დაევალა განახლებული საბანკო გარანტიის წარმოდგენა 10 ნოემბრამდე. შემსრულებელმა წარმოადგინა წინა საბანკო გარანტიის ცვლილება, რომელშიც ვკითხულობთ, რომ საგარანტიო თანხა გაზრდილია ხელშეკრულების თანხის გაზრდის პროპორციულად, თუმცა გარანტიის ვადის გაზრდის შესახებ არაფერია ნახსენები, რითიც დარღვეულია სატენდერო დოკუმენტაციის 2.4. მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნები.

2.) 2016 წლის 12 ოქტომბერს, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმებულია ორი ხელშეკრულება შპს „ღამის შოუ სტუდიასთან" ხელშეკრულება N02.07/10/535 და იმავე დღეს შპს „ლუმა დეველოპმენტთან" ხელშეკრულება N02.07/10/539, ორივე შემთხვევაში ხელშეკრულების საგანია: „ქ. თბილისის ბიუჯეტის სახსრებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სამსახურისთვის 2016 წლის 15-16 ოქტომბერს, თბილისობა 2016-ის დღესასწაულისადმი მიძღვნილი ღონისძიების უზრუნველყოფისათვის დეკორაციების (თანმდევი მომსახურებით - მონტაჟი, დემონტაჟი, შეფუთვა, დასაწყობება) შესყიდვა." თუმცა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის მუხლში, (მუხლი 8) შპს „ღამის შოუ სტუდიასთან" დადებულ ხელშეკრულებაში, შპს „ლუმა დეველოპმენტთან" დადებულ ხელშეკრულებისგან განსხვავებით, აკლია ერთი პუნქტი, კერძოდ: „ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 1%-ის ოდენობით." ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან

გამომდინარე ერთი და იგივე დღეს გაფორმებულია ორი ხელშეკრულება, რომელთა შესყიდვის ობიექტიც ანალოგიურია თუმცა განსხვავებულია მერიის მიდგომა ვინაიდან ერთერთთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში არ არის გათავლისწინებული საჯარიმო სანქცია შესრულების ვადის გადაცილებაზე.

3.) 2017 წლის 31 იანვარს ქ. თბილისის მერიის მიერ გამოცხადდა ელ. ტენდერი აუქციონის გარეშე NAT170001031 მემორიალური დაფების დამზადებისა და მონტაჟის სამუშაოების შესასყიდად. ტენდერის სავარაუდო ღირებულება შეადგენდა 11 473 ლარს. ტენდერში მონაწილეობა მიიღო სამმა პრეტენდენტმა: შპს „ჯეოგარანტი -2004", შპს „ბორჯი" და შპს „კარიზი". უმცირესი ფასი 9208 ლარი დააფიქსირა შპს "ჯეოგარანტი-2004"-მა. სატენდერო კომისიამ დისკვალიფიკაცია მისცა შპს „ჯეოგარანტს" რადგან მის მიერ წარმოდგენილი დაზუსტებული ხარჯთაღრიცხვის ღირებულება ნაცვლად 9208 ლარისა შეადგენდა 9208.01 ლარს და ხელშეკრულება N020930175 გააფორმეს მომდევნო პრეტენდენტთან შპს „ბორჯთან" ღირებულებით 10701 ლარი (1493 ლარით უფრო მაღალ ფასად). ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 6550,67 ლარი, ხოლო გადარიცხულია 6604,17 ლარი (53.5 ლარით მეტი), საიდანაც 2017 წლის სექტემბერში უკან დაუბრუნეს 40 ლარი, ხოლო 13.52 ლარი დაბრუნებული იქნა შემოწმების პროცესში.

4.) 2017 წლის 14 თებერვალს ქ. თბილისის მერიასა და შპს „ლუმა დეველოპმენტს" შორის ელ. ტენდერის (NAT160005083) საშუალებით დაიდო ხელშეკრულება ღონისძიებების უზრუნველსაყოფად სცენებით, ტრიბუნებით, პოდიუმებით, საგრიმიოროებით და ბექ-რაუნდის კონსტრუქციებით მომსახურების შესყიდვის მიზნით. ხელშეკრულების ღირებულებამ შეადგინა 249710 ლარი. ფაქტიური შესრულება 246780,68 ლარი. გადარიცხულია 247376,45 ლარი. აქედან უკან დაბრუნდა 555,81 ლარი. როგორც N16 მიღება-ჩაბარების აქტიდან ირკვევა შესრულებული სამუშაოს მოცულობამ შეადგინა 955 ლარი ხოლო ავანსის სახით გაცემულია 995 ლარი (40 ლარით მეტი). შემოწმების პროცესში მერიის მიერ მოთხოვნილ იქნა ზედმეტად გადახდილი თანხის უკან დაბრუნება, რომლის თაობაზეც წარმოგვიდგინეს შესაბამისი დოკუმენტაცია.

5.) 2017 წლის 29 დეკემბერს მერიასა და შპს TVC GEORGIAს შორის გაფორმებულ იქნა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N07.02.04/10/680 ხელშეკრულება. ხელშეკრულების შესყიდვის ობიექტია: 2018 წლის შობა-ახალი წლის დღესასწაულის აღნიშვნასთან დაკავშირებით, საახალწლო გალა კონცერტების, სატელევიზიო ტრანსლაცია და ტრანსლაციის ტექნიკური პერსონალით უზრუნველყოფის მომსახურების შესყიდვა. გასაშუქებელი ღონისძიებებების მომსახურების დასახელებაა - 2018 წლის დადგომასთან დაკავშირებით, საახალწლო გალა კონცერტრების, სამი სხვადასხვა ლოკაციიდან.

ხელშეკრულების 2.3 და 2.4 მუხლების თანახმად „გასაწევი მომსახურების ზუსტი აღწერილობა შეთანხმდება მიმწოდებელთან ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ. მომწოდებელმა მომსახურების გაწევა უნდა განახორციელოს შესაბამისი ინვენტარით, ტექნიკითა და მომსახურე პერსონალით.

არც ხელშეკრულებაში და არც შემდგომში გაფორმებულ მიღება-ჩაბარების აქტში (04.01.18) არ არის ხარჯთაღრიცხვა (კალკულაცია) როგორც ინვენტარი ტექნიკის, ასევე მომსახურების და პერსონალის ხელფასების თაობაზე. შესაბამისად ბუნდოვანია თუ კონკრეტულად რაში იქნა 157068,03 ლარის ხარჯი გაწეული, ვინაიდან როგორც უკვე ავღნიშნეთ არ არის გაშიფრული ხარჯთაღრიცხვა და არ არის გაკეთებული კალკულაცია.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის ხემძღვანელობას შემოწმების შედეგად აღმოჩენილ შენიშვნებზე მიეცათ რეკომენდაციები.

შპს „თბილსერვის ჯგუფი"

შემოწმების შედეგდად გამოვლინდა:

1. სარევიზიო პერიოდში შპს „თბილსერვის ჯგუფი"-ს საქმიანობის შედეგად ვერ მიიღწეოდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ფუნქციონირების მთავარი მიზანი - მოგების მიღება. სარევიზიო პერიოდში კომპანიას ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით 115 398.4 ათასი ლარის ზარალი აქვს მიღებული, რაც ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მხრიდან მის საწესდებო კაპიტალში შენატანების ფორმით დაფინანსების შედეგია. კერძოდ, იმის გამო, რომ ქ. თბილისის ბიუჯეტით „დასუფთავების ღონისძიებებისთვის" (კოდი 03.02) ასიგნებებიდან თანხები გამოიყოფოდა კომპანიის საწესდებო კაპიტალის გაზრდისათვის, შესაბამისად აღნიშნული სახსრები ვერ აისახებოდა კომპანიის ერთობლივ შემოსავალში და კომპანიამ 2016 წელი, 2017 წელი და 2018 წლის პირველი ნახევარი დაასრულა მნიშვნელოვანი ზარალით (2016 წელი 21 673.1 ათასი ლარის ზარალით, 2017 წელი 65 528.3 ათასი ლარის ზარალით, ხოლო 2018 წლის პირველი ნახევარი 28 196.9 ათასი ლარის ზარალით). ქ. თბილისის მერიის მიერ თბილისის დაგვა - დასუფთავების სამუშაოების (მომსახურების) ასეთი პრინციპით დაფინანსების შემთხვევაში, ამ ღონისძიებებზე კომპანიის მიერ გაწეული დანახარჯები ვერ გადაიფარებოდა შემოსავლებით (რეალიზაციით) და შესაბამისად ყოველწლიურად იზრდებოდა კომპანიის ზარალი, რაც ძირშივე ეწინააღმდეგება კანონმდებლობას და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების საქმიანობის პრინციპს, ვინაიდან „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად დაფუძნებული პირებისათვის სამეწარმეო საქმიანობად მიიჩნევა მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიზნით.

2. არასაკმარისია სარევიზიო პერიოდში შპს „თბილსერვის ჯგუფი"-ს მიერ გაწეული საქმიანობა ძირითადი საშუალებების მოვლა-პატრონობისა და ექსპლუატაციის კუთხით. სარევიზიო პერიოდში ჩატარებული ინვენტარიზაციების შედეგებით ირკვევა, რომ 2016წ. ინვენტარიზაციის შედეგად ჩამოწერას დაექვემდებარა შპს „თბილსერვის ჯგუფი"-ს ბალანსზე რიცხული 14 374 ერთეული ძირითადი აქტივები, რომელთა საწყისი საბალანსო ღირებულება შეადგენდა 4 319 555 ლარს, ხოლო 2017 წელს კი 317 ერთეული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა საერთო ღირებულებით 429 144.83 ლარი. რიგ შემთხვევებში „ექსპლუატაციის

შედეგად სრულად ამორტიზირებული“-ს მიზეზით ჩამოწერას დაექვემდებარა ექსპლუატაციაში 1 წელზე ნაკლებ ვადაში ნამყოფი ძირითადი საშუალებები და მატერიალური ფასეულობები. შპს ,,თბილსერვის ჯგუფი“-ს მატერიალური ფასეულობები რიგ შემთხვევაში არაა დაფიქსირებული რაიმე მაიდენტიფიცირებული ნიშნებით (საქარხნო ნომერი, კოდი, მარკირება და სხვა), რაც ფაქტობრივად შეუძლებელს ხდის ერთი და იგივე დასახელებისა და სახეობის მატერიალური ფასეულობის ერთმანეთისაგან გარჩევადობას.

3. შპს „თბილსერვის ჯგუფი“-ს სარგებლობაში არსებული ქ.თბილისში, გურამიშვილის გამზირი N15-ში მდებარე 6 სართულიან შენობაში (ე.წ. „საყოფაცხოვრებო მომსახურეობის სახლში“) იჯარით გასაცემი ფართობის მეოთხედზე მეტი (25,8% - 4120,50მ²) გამოუყენებელია და უსარგებლოდ არის დარჩენილი იმ გარემოებების გამო, რომ შენობის სახურავი დაზიანებულია და ესაჭირეობა კაპიტალური რემონტი, მე-5, მე-6 და ტერასის სართულებზე შენობაში ჩამოდის წვიმის წყალი, რაც იწვევს რკინა ბეტონის კონსტრუქციების დაზიანებას და არამიმზიდველია პოტენციური კლიენტებისათვის, რის გამოც ზიანდება შენობა და იკარგება შესაძლო საიჯარო შემოსავლები.

4. სარევიზიო პერიოდში კომპანიის დირექტორის ბრძანებებით გაცემულია კომპანიის თანამშრომლებისათვის პრემია-ფულადი წახალისების სახით სადღესასწაულო (აღდგომა, ახალი წელი, თბილისობის დღესასწაული) დღეებთან დაკავშირებით ფულადი წახალისება-პრემია. პრემიებისა და ფულადი წახალისების გაცემის საფუძველს წარმოადგენს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულებებით შპს ,,თბილსერვის ჯგუფი“-ს კაპიტალში შენატანები შპს ,,თბილსერვის ჯგუფი“-ს თანამშრომელთა პრემირებისათვის, რაც არასწორი დაფინანსების ფორმაა.

5. თოვლიან გზაზე მოყრის მიზნით შეძენილი მარილის სასაწყობე მეურნეობა არ არის მოწყობილი, შეძენილი მარილი დასაწყობებულია ღია ცის ქვეშ და ხდება მასზე ბუნებრივი პროცესების (წვიმა და თოვლი) ზემოქმედება, რაც იწვევს როგორც მარილის რაოდენობრივ დანაკარგებს, ისე საექსპლუატაციო თვისებების გაუარესებას;

6. თვალშისაცემია დიზელისძრავიან ავტომანქანებზე მფრქვევანების შეკეთების სიხშირე. სარევიზიო პერიოდში შეკეთებულია 294 340 ლარის ღირებულების მფრქვევანები, მ.შ. 23 ხელშეკრულების საფუძველზე შპს ,,კაცხურა“-ს მიერ შეკეთებულია 233 700.00 ლარის ღირებულების მფრქვევანები, შპს ,,ტრეიდი“-ს მიერ 2017 წელს შეკეთებულია კიდევ 25 940 ლარის ღირებულების მფრქვევანები (SPA160031335), ხოლო 2018 წლის 01 ივლისამდე კი შპს ,,ობომოტორსი“-ს მიერ კიდევ 34 700.00 ლარის ღირებულების მფრქვევანები.

მფრქვევანების ესოდენ ხშირი შეკეთების საჭიროებიდან გამომდინარე, შესაძლებელია შესაბამისი დანადგარის/სტენდის (რომელიც ძვირი არაა გაწეულ ხარჯებთან შედარებით) შეძენა და მწყობრიდან გამოსული მფრქვევანების საკუთარი ძალებით მოწესრიგება, რაც მნიშვნელოვანი თანხების დაზოგვას უზრუნველყოფს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს ,,თბილსერვის ჯგუფი“: შპს ,,თბილსერვის ჯგუფი“-ის ხემძღვანელობას მიეცათ რეკომენდაციები.

ა(ა)იპ "თბილისის განვითარების ფონდი"

შემოწმების შედეგად აღმოჩენილ შენიშვნებზე და დარღვევებზე ა(ა)იპ "თბილისის განვითარების ფონდს" მიეცათ რეკომენდაციები მათი საქმიანობის გამოსწორებისა და გაუმჯოესების მოზნით.

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ე ბ ი:

1. ხელშეკრულების შედგენისას მკაფიოდ გამოიხატოს ყველა პუნქტის პირობები, თუ რომელი მხარის ვალდებულებებია და მოვალეობები მათი შესრულება.

2. პროექტების შედგენა თავისი ხარჯთაღრიცხვებით უნდა ხდებოდეს მაღალი ხარისხით.

3. პროექტის შემდგენელმა პროექტის განხორციელების პერიოდში, ანუ რეაბილიტაციის სამუშაოების დროს დამატებითი ანაზრაურების გარეშე გაწიოს საავტორო ზედამხედველობა და პროექტის კორექტირება პროექტის მიწოდების ხელშეკრულების მოთხოვნიდან და საბიუჯეტო თანხების დაზოგვიდან გამომდინარე.

4. ხელშეკრულების პირობების ცვლილებების დროს ყურადღება მიექცეს შეთანხმებას ისე, რომ არ გაუარესდეს შემსყიდველის პირიბები.

5. მკაცრად იქნას დაცული ხელშეკრულების მოთხოვნები (შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების დროს და დამკვეთის მოთხოვნით დემონტირებულ ვარგის მასალებზე).

6. ტენდერის ჩატარების დროს გათვალისწინებული იყოს ისეთი პირობები სადაც დაცული იქნება, როგორც სახელმწიფოს ინტერესები ასევე მიმწოდებელთათვის კონკურენციის პირობები.

7. სხვადასხვა მომსახურებაზე (ვიდეო რგოლების დამზადება და სხვა) გაფორმებული ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვები ნათლად უნდა ასახავდეს მის რეალურ ღირებულებას, საბიუჯეტო თანხების ხარჯვის დროს.

8. ყველა თანამდებობის პირის ქმედება უნდა იყოს განხორციელებული კანონის ფარგლებში, რათა ამ ქმედებას არ მოჰყვეს უკუშედეგი.

9. დიდი დებიტორული (საბიუჯეტო თანხების) დავალიანების დროს უნდა ხორციელდებოდეს კანონით განსაზღვრული დროული რეაგირებები.

10. დიდი ოდენობით და დიდი პერიოდულობით ამა თუ იმ სამუშაოებისათვის ავანსით თანხების გაცემა უნდა ემყარებოდეს მკაფიოდ დასაბუთებულ შემთხვევებს.

სარევიზიო კომისიის მიერ 2019 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში ჩატარებულ იქნა კომისიის 20 სხდომა და განხილულ იქნა 38 საკითხი.

საანგარიშო პერიოდში სარევიზიო კომისიის მიერ ექვსჯერ (25 იანვარს, 1 მარტს, 24 მაისს, 23 ივლისს, 8 ნოემბერსა და 20 დეკემბერს) განხილულ იქნა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ დადგენილების პროექტები, ხოლო 19 აპრილს კომისიის მიერ ასევე განხილულ იქნა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“ წარმოდგენილი პროექტი.

2019 წლის 20 ნოემბერს და 27 დეკემბერს კომისიამ განიხილა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ (საკრებულოს-NN12-0319319121-03.15.11.2019წ; 12-0319344108-03.10.12.2019წ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

2019 წლის 17 ოქტომბერს სამუშაო შეხვედრა გაიმართა, სარევიზიო კომისიის სამდივნოს თანამშრომლებსა და ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურსს შორის, სადაც შეხვედრაზე მოწვეული იყო სამსახურის უფროსი ბადრი გიორგიძე და მისი მოადგილე კახი ქორიძე.

შეხვედრა შეეხებოდა სამსახურების ურთიერთთანამშრომლობას, ინფორმაციის გაცვლას და სამომავლო მუშაობის კოორდინაციას. ასევე სამსახურის წარმომადგენლებმა წარმოადგინეს ინფორმაცია, კომისიის მიერ გადაგზავნილი დასკვნების შემდგომი რეაგირებების შესახებ.

გარდა ზემოაღნიშნული სარევიზიო შემოწმებებისა, სარევიზიო კომისიამ საანგარიშო პერიოდში რეაგირება მოახდინა სარევიზიო კომისიაში შემოსულ განცხადება-კორესპოდენციაზე.

შემოწმებულ ორგანიზაციებზე, შემოწმება-ანალიზის დასკვნიდან გამომდინარე, სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად გაცემულ იქნა რეკომენდაციები. სარევიზიო კომისიის მიერ, ყველა შემოწმებული ორგანიზაციების შემოწმება-ანალიზის დასკვნები, კომისიაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, იგზავნება დამატებითი გამოკვლევისა და შესწავლის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურში.

სარევიზიო კომისიის მიერ განხორციელებული შემოწმებების და დასკვნების შედეგად აღმოჩენელი დარღვევები, ორგანიზაციების მიერ რეკომენდაციების სახით არის გათვალისწინებული, რასაც ადასტურებს დასკვნებთან დაკავშირებით შემოწმებული ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი წერილობითი მოსაზრებები, რაც შემდგომში ისახება მათ გამოსწორებულ საქმიანობაზე.

2019 წლის 24 იანვარს დამტკიცებული სარევიზიო კომისიის სამუშაო გეგმა, სრულად იქნა ათვისებული და შესრულებული, ხოლო ამჟამად სარევიზიო კომისია მუშაობს მიმდინარე წლის გეგმის თანახმად.

სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე — რიმა ბერაძე